

საინფორმაციო ფურცელი

აღნიშნული საინფორმაციო ხასიათის ფურცელი წარმოადგენს არაამომწურავ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ და არ არის დაზღვევის ხელშეკრულების იდენტური იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი.

საინფორმაციო ფურცლის გაცნობა და მასთან დაკავშირებული განმარტებების გაკეთება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და შესაბამისად, მოთხოვნებს მხარეთა შორის.

მზღვეველის დასახელება	ს.ს. „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“
დაზღვევის ხელშეკრულების სახე	ტვირთის დაზღვევა
დაზღვეულის რისკის აღწერილობა და სადაზღვევო დაფარვის პირობები	<p>ყველა რისკზე გაფორმებული დაზღვევის ხელშეკრულებების მიხედვით ანაზღაურდება:</p> <p>ა) ტვირთის მთლიანად ან მისი ნაწილის განადგურებით, დაკარგვით ან დაზიანებით გამოწვეული ზარალი, რომელიც განპირობებულია ნებისმიერი მიზეზით (მათ შორის ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის, მესამე პირის მიერ ტვირთების განზრახვის ან განზრახვის გარეშე დაზიანების, სატრანსპორტო საშუალებასთან ერთად ტვირთის უკვალოდ გაქრობის, ხანძრის, აფეთქების, საგზაო – სატრანსპორტო შემთხვევის, ავარიის, კატასტროფის, სტიქიური უბედურების და სხვათა შედეგად);</p> <p>ბ) ზარალი და ხარჯები გაწეული საერთო ავარიის შედეგად;</p> <p>გ) ყველა აუცილებელი და მიზანშეწონილი დანახარჯი, გაწეული ტვირთის გადარჩენაზე, ზარალის შემცირებაზე და მისი სიდიდის დადგენაზე, თუ ზარალი ანაზღაურებას ექვემდებარება დაზღვევის პირობების მიხედვით.</p>
ფრანშიზის სახე, ოდენობა და გამოყენების წინაპირობები	ფრანშიზა არის თანხა, რომელიც არ ექვემდებარება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას და რომელიც აკლდება ზარალის თანხის ოდენობას და რომელზეც მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი. ფრანშიზა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, განისაზღვრება სადაზღვევო პოლისში.
პრემიის, გარდა მომხმარებლის მიერ ნებისმიერი სხვა ფინანსური ხარჯის გაწევის წინაპირობები, ოდენობა და წესი	არ არის გათვალისწინებული
დაზღვევის გამონაკლისი, პირობების სრულყოფილი ჩამონათვალი	<p>1. არ ანაზღაურდება ზარალი, რომელიც გამოწვეულია:</p> <p>ა) დამზღვევის ან მისი წარმომადგენლის განზრახვი ან უხეში გაუფრთხილებლობით, მათ მიერ ტვირთის შენახვისა და გადატვირთვისას მოქმედი ნორმებისა და წესების დარღვევით;</p> <p>ბ) ტვირთის არასათანადო შეფუთვით, ტვირთის დაზიანებულ მდგომარეობაში გაგზავნით, მსხვილი სატვირთო ადგილების მქონე მანქანებისათვის დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით, ტვირთის შეუსაბამო განლაგებითა და დამაგრებით;</p>

გ) ტემპერატურის, ჰაერის ტენიანობის, ტრიუმის (საწყობის) ჰაერის გავლენით;

დ) ტვირთის განსაკუთრებული თვისებით, მისი მოსახმარი ხარისხის, მასის, ან მოცულობის ბუნებრივი ცვლილებით;

ე) სატრანპორტო საშუალებით დაზღვეულ ტვირთთან ერთად სხვა ტვირთის გადაზიდვით, რომელიც ცნობილია დამზღვევისათვის, მაგრამ არ უცნობებია მზღვეველისათვის

ვ) ტვირთის დანაკლისით, როდესაც გარეგანი შეფუთვა და ლუქი დაუზიანებელია;

ზ) ტვირთის დაზიანება ჭიებით, მღრღნელებითა და მწერებით;

თ) ზღვაოსნობისთვის უვარგისი ხომალდით, ხომალდით, რომლის ასაკი აღემატება 30 წელს (ამ უკანასკნელის დაზღვევა მოითხოვს მზღვეველისაგან წინასწარ თანხმობას, რომელიც გაფორმებული უნდა იყოს წერილობით), ტვირთის გადამზიდი საშუალების ტექნიკური ან კომერციული უვარგისობით, თუ დამზღვევმა ან მისმა წარმომადგენელმა იცოდნენ, ან უნდა სცოდნოდათ ამის შესახებ ჩატვირთვის დამთავრების მომენტში; ასევე შემდეგი ქვეყნების დროშის ქვეშ მცურავი გემებით ბელიზი, კამბოჯა, სან-ტომე და პრინსიპი, ვანუატუ; ასევე ატომურ-ძრავიანი და სამხედრო გემებით.

ი) სამხედრო მოქმედებით ან სამხედრო ღონისძიებების, ნაღმების, ტორპედოების, ბომბებისა და სხვა სამხედრო იარაღის, სამოქალაქო ომის შედეგად ტვირთის დაზიანებით ან მოსპობით, ასევე, კონფისკაციით, სამხედრო ან სამოქალაქო ხელისუფლების, აგრეთვე, საბაჟო, სანიტარულ ან საკარანტინო სამსახურების მოთხოვნით ტვირთის ხელში ჩაგდებათ, დაპატიმრებით ან მოსპობით.

კ) გაფიცვებით, ლოკაუტით, ამბოხებით, საგანგებო მდგომარეობით, სამოქალაქო მღელვარებით ან ტერორისტული აქტით;

ლ) ატომური აფეთქების პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედებით. რადიაციით ან რადიოაქტიური დაბინძურებით, რომელიც დაკავშირებულია ატომური ენერჯის ნებისმიერი და გამხლეჩი მასალის გამოყენებასთან, ბიოლოგიური იარაღებით.

მ) ტვირთის გადაზიდვის შეფერხებითა და ფასების ცვლილებებით;

ნ) ტვირთის საწარმოო დეფექტით;

არ ანაზღაურდება, აგრეთვე, ტვირთის სხვა არაპირდაპირი ხარჯები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დაზღვევის პირობების მიხედვით ასეთი ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას საერთო ავარიის წესით, რომელიც გათვალისწინებულია "გადამზიდევის პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობებით".

2. ზარალი გამოწვეული: პირუტყვის ან ფრინველების (როგორც ტვირთის) დაღუპვით ან უბედური შემთხვევით, ტვირთის გაჟონვით ან რხევით, საგნების დამტვრევისას ან დამსხვრევისას ზარალი ანაზღაურდება იმ შემთხვევაში, თუ გამოწვეულია გადამზიდი საშუალებების განადგურების, მათი ერთმანეთთან ან ყოველგვარ მოძრავ ან უძრავ საგანთან შეჯახების შედეგად (ყინულის ჩათვლით).

3. ანაზღაურებას არ ექვემდებარება ზარალი, რომელიც დამდგარია:

ა) ხომალდის (გემის) დაორთქვლით ან ატმოსფერული ნალექებით დასველებით;

ბ) ტვირთის გაუფასურებით ტარის დაბინძურების (გაჭუჭყიანების) ან გაფუჭების შედეგად, გარე შეფუთვის დაუზიანებლობის შემთხვევაში;

გ) მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად.

4. ასევე ამ პირობების მიხედვით დაზღვევას არ ექვემდებარება შემდეგი სახის ტვირთები: ბამბა, ფულის კუპიურები, ოქროს ნაწარმი და სამკაულები, ცემენტი.

5. განსაკუთრებული პირობებითა და დამატებითი ღირებულების გადახდის საფუძველზე შეიძლება, დაზღვეული იქნეს ზარალი, რომელიც გათვალისწინებულია

<p>სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შეტყობინების გაგზავნის ფორმა</p>	<p>პუნქტებში 3-ში და 4-ში.</p> <p>24 საათის განმავლობაში მას შემდეგ, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ზარალის შესახებ აცნობოს მზღვეველს მომხდარის შესახებ და თუ დაზღვევის ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, განაცხადოს მომხდარის შესახებ კომპეტენტურ ორგანოებში შემთხვევის ადგილზე იმ წესით, რომელიც დადგენილია მოქმედი კანონმდებლობით.</p>
<p>სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები</p>	<p>დაზღვევის საზღაურის მოთხოვნისას, წარმოადგინოს:</p> <p>ა) სადაზღვევო პოლისი, გაცემული მზღვეველის მიერ ტვირთის დაზღვევაზე მიღების დასადასტურებლად და წერილობითი განცხადება ზარალის ანაზღაურების შესახებ;</p> <p>ბ) დამზღვევის უფლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები;</p> <p>გ) ტვირთის ღირებულებისა და კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტები (კონტრაქტები, ზედნადებები, ანგარიშები და სხვა);</p> <p>დ) გადაზიდვის დოკუმენტები (რკინიგზის ან საავიაციო ზედნადები, სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადები, კონოსამენტები და სხვა);</p> <p>ე) ტვირთის თანხლები დოკუმენტები (სპეციფიკაცია, დაწყობის აღწერა, საბაჟო დეკლარაციები და სხვა);</p> <p>ვ) სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები:</p> <p>ოფიციალური დოკუმენტები სადაზღვევო შემთხვევის ფაქტზე, (ამონაწერი ზარალის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან არ აღძვრის შესახებ დადგენილებიდან) ცნობები საგზაო პოლიციიდან ან სხვა კომპეტენტური ორგანოებიდან, ცნობები ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის ორგანოებიდან, საზღვაო პროტესტი, ამონაწერი ხომალდის ჟურნალიდან, ტვირთის უზოპუკვლოდ დაკარგვის შემთხვევაში გადასაზიდ საშუალებებთან ერთად - ზუსტი მონაცემები გადასაზიდი საშუალების გაგზავნის პუნქტიდან გამოსვლისა და მისი დანიშნულების პუნქტში არმისვლის შესახებ, აგრეთვე დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ტვირთის მიმღების მიერ ტვირთის მიუღებლობას დადგენილ ვადაში.</p> <p>ზ) ზარალის ოდენობის და გამომწვევი მიზეზის დადგენის დოკუმენტები: აქტი ზარალის ოდენობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ, ტვირთის დათვალიერებისა და ექსპერტიზის აქტი, საავარიო სერტიფიკატი, წარმოებული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო საერთო ავარიისას ზარალის, ხარჯებისა და შენატანების ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში - დოკუმენტებით დასაბუთებული გაანგარიშება ან დისპაშა და სხვა.</p> <p>სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა სადაზღვევო თანხის ფარგლებში, ტვირთის რეალური (ნამდვილ) ღირებულებასა და სადაზღვევო თანხის ფარდობის პროპორციული ოდენობით. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა ხორციელდება სადაზღვევო აქტის საფუძველზე, რომელიც შედგენილია მზღვეველის მიერ ზარალზე ყველა აუცილებელი დოკუმენტების მიღების შემდეგ. მზღვეველი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას 10 სამუშაო დღის განმავლობაში სადაზღვევო აქტის შედგენის შემდეგ, თუ დაზღვევის ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის დათქმული.</p>